საქართველოს ნაციონალური პარტია.

კლდე

კვირა
მარტის 28.
(მარტის 15)
1920 წელი
№ 13
ფასი 4 მან.

გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს
სოფლის მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა ინტერესებს

„კლდე“

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის
10 საათიდან 3 საათამდე.

გაზეთის ფასი წლის დამლევამდე 200 მან.

მისამართი რედაქციის: დამფუძ. კრებ. ქ. № 5.
რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17.

ტელეფონი 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი.

მ. ბექაია ამიერ-კავკასიის კონფედერაცია.
ი. იმერელი. ისევ ბათუმზე
ი. დიდიძე ჯარისთვის.
ქართული საქველმოქმედო საზოგადოება
ს. ნადირაძე წერილი ჯავახეთიდან.
ა. მელიქიძე. ახალქალაქის ადმინისტრაცია.
X. მიწად-მოქმედების სამინისტროში.
სპარსეთის ქართველები.
ძველი. სადგურ მარტოთუბნიდან.

გერმანიაში გამგზავრების გამო

ქ. ქუთაისში, ცენტრში, ორპირის ქუჩაზედ, მეძმარიაშვილის თამბაქოს ქარხნის და ქალაქის აფთიაქის შუა

იყიდება სამი მაღაზია

თლილი ქვის და კარგად აშენებული.

დაწვრილებითი ცნობები გაიგება: ორპირის ქუჩაზედ ეროვნულ პარტიის კომიტეტის ბიუროში დ. ს. ღოღობერიძესთან.

დამფუძნებელი კრების ფრაქცია

ნაციონალ. პარტიის აცხადებს, რომ ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა მასალა მიიღება

თფილისში მთავარ კომიტეტში (გრ. ვეშაპელის ბინაზე. წყნეთის ქ. № 17 ტელეფ. № 22)
სოხუმში: აფხაზეთის საოლქო კომიტეტში (გრანდ-ოტელ. № 8) თავმჯდომარე, ვლადიმერ პახვ. ემუხვართან.
ახალციხეში: სამაზრო კომიტეტში (კოტე გვარამაძესთან)
ახალქალაქში: სამაზრო კომიტეტში (საგენტი ნადირაძესთან)
ქუთაისში სამაზრო კომიტეტში (ორპირის ქ. დავ. ღოღობერიძის სახლში).
ზესტაფონში სამაზრო კომიტეტში (ბესარიონ კელენჯერიძის სახლი)
საჩხერეში სარაიონო კომიტეტში გიორგი სვიმონისძე წერეთელთან და თამარა ქავთარაძესთან.

პასუხი და რჩევა მკითხველთ

„კლდის“ რედაქცია აწვდის მკითხველთ განსაკუთრებით პროვინციის, სოფლის მცხოვრებთ, იურიდიულ რჩევას მიწისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე; მისამართი: თფილისი, წყნეთის ქუჩა № 17.

კორესპონდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მუდმივათ აწვდიან რედაქციას წერილებს პროვინციის (სოფლისა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი და ეძლევათ **გონორარი.**

კორესპონდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების' ფაქტების შესახებ.

ამიერ-კავკასიის კონფედერაცია

ჩვენდა საუბედუროთ საქართველოს ინტერესების დაცვა წილად ხვდა იმ ინტელიგენციას, რომელსაც უფრო ინტერნაციონალის კეთილდღეობა აინტერესებს, ვიდრე ნაციონალური ხელმწიფობის სრული ხელის უფლება.

დღევანდელი საქართველოს ხელმწიფობა დიდ განსაცდელს განიცდის და მრავალი გართულება, დანაკლისი მოსდის მას ამ სოციალისტური ინტელლიგენტების მეოხებით რომლებიც სრულიად ანგარიშს არ უწევენ საქართველოს რეალ ინტერესებს.

ავიღოთ თუ გინდ ის საბედისწერო საკითხი, როგორიცაა ბათომი და მისი ოლქი.

ეს განუყოფელი და ორგანიული ნაწილი საქართველოს სხეულისა ჯერ კიდევ ოსმალოს შემოტევის დროს ჩამოძორდა საქართველოსტანს და ამ რიგად საქართველო დარჩა უთავოდ.

მას შემდეგ მთელი რიგი უსუსურობა გამოიჩინა ამ საკითხში ჩვენმა მმართველმა პარტიამ და ნათლად ჰყო ის გარემოება, რომ მას არ ძალუძს რეალური პოლიტიკის წარმოება და ის გასაკვირველ იოლათ ებმება სხვა და სხვა დაგებულ მახეებში საგარეო პოლიტიკისა, და უბრალო საანბანო ჭეშმარიტებაც-კი მათთვის გაუგებელი აუხსნელი რჩება რაც თავისთავად იწვევს ჩვენში შინაურ გართულებას. ასეთი მათი უძლურება ალბათ იმით თუ აიხსნება, რომ მათ ორ სკამზე უხდებათ ჯდომა და ხან ერთი აყირავდება, ხან-კი მეორე!

ბათომი და მისი ოლქი რომ დღემდის საქართველოს სახელმწიფოებრივ ფარგლებში უნდა ყოფილიყო, ეს აშკარაა, მაგრამ დავიგვიანეთ და ინგლისის მხედრობის მიერ ბათომის ოლქზე ოკკუპაცია იქმნა გამოცხადებული.

ვისი ბრალია? პასუხი ამ შეკითხვაზე ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია განვმარტოთ; თვით მკითხველი სათანადოთ დააფასებს და თვით გასცემს პასუხს..

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბათომის საკითხი იმ რიგად გაიქსელა ჯერ ადგილობრივ ინტრიგებით და შემდგომ გაუმაძღარ დასავლეთ სპეკულიანტთა მადით რომ ბათომი ინგლისის „ოკკუპაციის“ უღელს კიდევ დიდხანს ვერ აიხსნის და ამ შემთხვევაში საქართველო და მისი უზენაესი ინტერესები სათამაშო ბურთად გახდება ევროპიელთა კაპიტალისტებისთვის. ეხლა აზერბეიჯანის მინისტრი ხან-ხოელი საქართველოს კონფედერაციით უმასპინძლდება და, რასაკვირველია, სომხეთიც ასეთ კომბინაციას, უდავოა, თვის სასარგებლოდ მყისვე იცნობს. აი დიპლომატიური კაბალაც ასეთი უნდა! ეს ახალი ფორმა „კონფედერატიულ“ საქართველოს ინტერესებს არ უდგება. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ საქართველოს და მის კულტურას ამიერ-კავკასიაში, შორეულ ისტორიაშიაც-კი დიდი გავლენა ჰქონდა და მისი მესვეურობა უდავო იყო და დღესაც არის. ეს გარემოება, რათქმა უნდა, არ ეპარება ბ. ხან-ხოელს და არც სომხეთს და, აი ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოზე ჩვენს მეზობლებს იერიში იერიშზედ მოაქვთ როგორც მეგობრობის, აგრეთვე მტრულის სახით. ამ უკანასკნელ ხანებში აზერბეიჯანის მადა გაუმაძღრობას იჩენს და მას სურს საქართველოს გავლენა შეკვეცოს. ქ. ბაქოში უკვე სწარმოებს ამგვარი იერიშები (თუ ბათუმისას დავივიწყებთ) საქართველოს მამულის შვილებზე: ამბობენ პირდაპირ უკარნახებენ მათ ეს მამული ამ და ამ აზერბეიჯანელს ამ საფასურით მიყიდეთო. როგორც ვხედავთ ამ ეკონომიურ ბრძოლასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული პოლიტიკურიც, რათა საქართველოს ეკსტანცია ამიერ კავკასიაში შეუფერხონ. ეხლა გადავიდეთ პირდაპირ საკითხზე.

საქართველოს რეალ ინტერესებს სრულებით არ შეფერის კონფედერატიული ფორმა, და აი რატომ: ჯერ ერთი, რომ ჩვენ სხვა და სხვა კულტურაზე ვართ აღზრდილი და ჩვენი ზნე-ჩვეულება და ადათები დიდათ განსხვავდება ჩვენ მეზობლებისაგან, რელიგიის და ენის სხვა და სხვაობაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში. მეორე, მართლაც რომ გაწყრეს ღმერთი და ჩვენმა ინტერნაციონალურმა ინტელლიგენციამ ეს კავშირი შეჰკრას, მაშინ საქართველო ამ ორ მეზობელ ხალხთა შორის გამოიჭყლიტება და მთელი უნარი, ენერგია მას მოუნდება მათ რევრესიულ ინსტიქტების განელებისათვის; ამ დროს კი ჩვენი კულტურა, ჩვენი ეკონომიკა საგრძნობლად დაეცემა და მისი ხელმწიფობა დაბეჩავდება, დაწვრილმანდება. მესამე ის, რომ საქართველო დაჰკარგავს მის უდავო პოზიციებს, რომელიც მას ავავშირებს საერთაშორისო ფერხულში და ერთგვარ უპირატესობით სარგებლობს.

ჩვენ ვგონებთ, ამიერ კავკასიის სეიმის სიკვდილის შემდეგ, ზედმეტი იქმნებოდა საქართველოს სხეულისთვის ახალი ცდების განმეორება. ჩვენის აზრით, ერთად ერთი შესაძლებლობა კავშირისა ამ სამ რესპუბლიკათა შორის სასურველი იქნებოდა მხოლოდ თავდაცვის საკითხში და მეტად სასურველიც, თუ ამ აუცილებლობას მეზობელი რესპუბლიკები შეიგნებდნენ. ამ მომავალ კონფერენციაზე ჩვენი რწმუნებულები ამ გზას უნდა დაადგნენ და ენერგიულად დაიცვან იგი. სხვა გზები საქართველოს რეალ ინტერესებისთვის მიუღებელია და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამას ჩვენი მთავრობა ანგარიშს გაუწევს და არ დასცემს საქართველოს პრესტიჟს ახალ უაზრო კომბინაციით.

მ. ბექაია.

ისევ ბათუმზე

რა უძლური და არარაა ადამიანი, როცა იგი თავის ბედს ან უბედობას დასტირის!.. ბათუმის „პორტო ფრანკო“ საწამლავი იყო სრულიად საქართველოსთვის. ბათუმზე მოსთქვამს პრესა „აღშფოთებულია“ საზოგადოება, ხოლო მთავრობა, თუ ბათუმი წაგვერთვა, იმ შემთხვევისთვის გადადგომას გვპირდება!..

არ შევეხებით იმას ამ დროის ორიგინალურ პროტესტანტებში თუ სად იწყება სიგულწრფელე, რეალობა, სისადე და სად თავდება ფუქსავატობა, სიყალბე.

ფას დაკარგულია მთავრობის პერსონალური „გადადგომა“, ქარწისქვილურია პროტესტები და მავნებელია პრესაში ზოგიერთ პუბლიცისტის ანთებიანი წერილები ბათუმის სირცხვილს, მარცხს სხვას რომ უპირებს გადაბრალებას, ბათუმის ეპოპეის ბოროტ ხელს გარეთ რომ ეძებს.

დამნაშავენი ისინი არიან, ვინც დღეს ფარისევლურად შავი ჩაიცვა.

მარქსს არასოდეს არ უფიქრია ბათუმის ან დაკარგვაზე ან მის შემოერთებაზე, ცხადია ამ საქმისთვის მას არც არაფერი უანდერძებია მენშევიკებისთვის, ამიტომ არის, რომ მენშევიკებმა კისერი მოიტეხეს სამუსლიმანო საქართველოში. ბათუმმა ერთხელ კიდევ გააწბილა ქვეყნის პატრონი მენშევიკობა. მაგრამ ვაი, რომ ამით მთელი საქართველო ეშვება უფსკრულისკენ. არ ჩამოვთვლით დაწვრილებით მენშევიკების „დეფექტებს“ აჭარაში, ამას მოვლენების გადაშლა განვითარება გამოამზეურებს!..

დღეს ბათუმის ოლქი უდიდეს ავანტიურის ასპარეზია, მენშევიკურ რეცეპტის და ცენტრალისტობის წყალობით. სამუსლიმანო კუთხე ერთ უფსკრულიდან მეორე უფრო უარეს უფსკრულში გორდება.

დენიკინიზმს ბოლშევიზმი სცვლის!.. ყველაფერი ეს შესაძლოა არც კი იცის საგარეო საქმეთა ხელისუფალმა. თფილისში პამპულაობენ, მაგრამ დროა დარწმუნდენ, რომ ბათუმის საკითხში პირველ ყოვლისა დამარცხდა საქართველოს სამშვიდობო დელეგაცია ევროპაში და შემდგომ საქართველოს დიპლომატია თავის საგარეო საქმეთა მინისტრით.

იყო დრო სარგებლობისა, მაგრამ ეს ხელიდან გაუშვეს, იყო პირობები, როცა ინგლისელ ოკუპატორებს თავის თავად მნიშვნელობა დაეკარგათ ბათუმში, მაშინ რესპუბლიკის ჯარის შეყვანა „მოწინააღმდეგე წრეებში“ ნორმალ მოვლენად ჩაითვლებოდა.

ჩვენ იმედი არ გადაგვიწყვეტია, ბათუმის დაკავება ისევ ადვილია, მაგრამ შეადარეთ აღელვებული ზღვა წინანდელ წყნარ ზღვას. მთავრობამ გახედოს მავ ზღვას, წითლების ლანდით შეტორტმანებულს და დარიალის ხეობას ბოლშევიკების ალმურ ნაცემს. და მერე რამდენ ბედის მაძიებელს გაუღვიძებს ეს მადას!..

ჩვენი მთავრობა რევოლიუციონერობის დიპლომიანია, მაგრამ მას ეს რევოლიუციონერობა ბათუ[illegible]ში არ ეყო.

პრესა ჩქარობს, მოღალატეებს ეძებს, აზერბეიჯანისგან იმიჯნებიან, მაგრამ რატომ არაფერს ჰკითხავენ ბაქოს დესპანს?

აზერბეიჯანი რა შუაშია, აბსალიუტური მეგობრობა არ ყოფილ კუნძულის მეოცნებეებმაც არ იციან, ხოლო ცხოვრებაში ძმებიც ანგარიშობენ.

დიპლომატია ცივი ანგარიშიანი საქმეა, მარქსის მოწაფენი ან სხვა სპეციალისტები მასში [illegible]ლთვის აგებენ.

მენშევიკების დიპლომატია დამარცხდა თათრებთან 1918 წ. ასევე მოუვიდა სომხებთან ამავე წელს და მარცხდება დღესაც საქართველოს ხარჯზე.

ვინატროთ, რომ ამ გამოცდის დროს შესძლოს მან გეზის შეცვლა და ბათომი არ დაღუპოს!..

ვუსურვოთ მას, რომ ან აიჩვეოდეს ნამდვილ დიპლომატობას აი მასზე მაღლად ხელი აეღოს.

ი. იმერელი.

ჯარისთვის.

(შენიშვნა)

საქართველოს ახალგ[illegible] ყოველრგვარი მზრუნველობა ეს[illegible] [illegible] იგი იქცეს ნამდვილ პატრიოტ[illegible] [illegible]ანეპით მაღალ და შეგნებით ძლიერ ძალად!..

ჯარის დისციპლინა, მისი ტეხნიკური მომზადება, სამხედრო ცოდნის მიცემა ელემენტარული მოთხოვნილებაა და მას საყოველთაოდ უპირველესი ყურადღებაც აქვს მიქცეული. ასეთ აუცილებელ მოთხოვნილებათა გარდა თანამედროვე ვითარება ამ დროს მ[illegible]ულ ძალისთვის სხვა გვარ მუშაობასაც გვავალებს. ჩვენი საუკუნე პოლიტიკური საუკუნეა, როდესაც ხდება ყველა ღირებულებათა გა[illegible]ასება, ეხლა გონივრულ [illegible]ვლადიდებას ცხოვრების ყოველ [illegible] სასწორზე სწონიან, პიროვნება სცილდება „მიხეილურ მოვლეობის ფორმალიზმს“, მას საშუალება ეძლევა თავისი ენერგია შემძლებლობა ნიჭი ფართოდ გადმოშალოს და მო-

ქალაქებრივ ცხოვრების კვლევა ძიებაში ჩაერთოს.

დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრების ასეთ განვითარებასთან ერთად პარალელურად უნდა ადიჭარდოს ჯარიც. ჩვენ არ გვაქვს განზრახვა ამ საკითხში განუხორციელებელი პროექტები წარმოვადგინოთ, ვამბობთ იმის შესახებ, რის გატარებაც არსებულ პირობებში შესაძლებელია. ჯარის ინსტრუქტორებს ოფიცრობას ყოველ მხრივ ცოდნით აღჭურვა უნდა. ოფიცერი მარტო „მარჯვნივ და მარცხნივ" ან სხვა ვარჯიშობის მასწავლებელი ჩვენი დროისთვის არარას წარმოადგენს. აქ შეძლო ჩვენთვის რამოდენიმეთ მაინც ნუ გეში ეცა იმ მხცოვან დამსახურებულ სარდლობას, რომლის სიმრავლე საქართველოში ნაგრძნობია. სამხედრო ხელოვნების, სათმო სტრატეგიის, ტაქტიკის, ისტორიის და სხვა ამგვარ საგნების ზედმიწევნით მცოდნე პირებს ჰმართებთ ინიციატივა, რათა თავისი ცოდნა ცოდნით დაირიბთაც გაუზიარონ. ძველი მხედრობა უნდა აწყობდეს სავალდებულო ლექციებს, მოხსენებებს და საუბრებსაც კი რესპუბლიკის ოფიცრების მოსამზადებლად.

ეს საქმე არც ისე რთულია, სამხედრო სამინისტროს ბევრი არ დაუჯდება მისი განხორციელება. სარგებლობა კი დიდია მოსალოდნელი. ჩვენი ქვეყანა, რომელიც ხალხის შეგნებას ეჯიბება, მისთვის უადრესად საჭირო ოფიცრებისთვის საჭირო შემეცნების მიცემა. ეს არ მოითხოვს ცალკე სექციების დაარსებას რაც ყოველთვის მუმივებად გადაქცეულა ხოლმე, აქ საჭირო საკუთარი თაოსნობა ოფიცრობისა, ყოველ ოფიცერს, თუ კი ამ უკანასკნელმა ესა თუ ის საგანი იცის, უფლება აქვს თავისი ცოდნა ლექციის ან მოხსენების სახით გაუზიაროს თანამხედართ.

ჩვენს გენერლებს აქვთ იმდენი ცოდნა, რომ მათ უკითხონ სამხედრო ხელოვნებაში ლექციები ახალგაზდა ოფიცრობას. სამხედრო სტრატეგია, სამხედრო ტაქტიკა, ისტორია გეოგრაფია და სახელმწიფო უფლება თავისუფლად უნდა იცოდეს ყოველმა ოფიცერმა, შემდეგ შეძლება გადასვლა სხვა საზოგადოებრივ განვითარების საგნებზეც.

ჩვენ მოუწოდებთ დამსახურებულ პატრიოტ ოფიცრობას ეს სიმპატიური საქმე ითაონ.

ჩვენი სამშობლო დიდხანს იქნება მხედრობის ფხიზლობით საზიდი და ამიტომ გვჭირია, ეს მხედრობა ყოველმხრივ წრთვნილად გათვითცნობიერებული, მაგარი ცოდნიანი და სადი სულის იყოს.

ი. დიდიძე.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისთვის

დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი 1.500.000 მან. გადადებისა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისთვის; ამ დეკრეტის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი მოხსენება წარმოუდგინა მთავრობას:

„ქართული საქველმოქმედო საზოგადოება არსებობს 1907 წლიდან. ომის დაწყებიდან (1914) საზოგადოებას განსაკუთრებული შრომა და საქმიანობა დააწვა თავზე. მან თავი მოუყარა ყველა პარტიულ მიმდინარეობას და თავს იდვა ომისაგან გამოწვეულ სიმძიმეთა შესუბუქება. მრავალი ქვრივ-ობოლი, უპატრონოთ დარჩენილი ოჯახი ნუგეშს საზოგადოებაში პოულობდა. ომისაგან დაზარალებულ და ტყვეთ წაყვანილ ქართველთ მხოლოდ ეს საზოგადოება უწევდა დახმარებას. მეორე მხრივ საზოგადოება ეცადა საერთო საიმპერიო დაწესებულებებს მზრუნველობა ქართველებისთვის აღმოეჩინა. მან შესძლო დიდი უბედურების და ტანჯვის გამოტანა ცენტრალურ საიმპერიო დაწესებულებათაგან თვით ქართველთა საზოგადოებამ ისეთი დიდი ნდობით აღჭურვა და ისეთი მოვალეობა დააკისრა საზოგადოებას, რომ მისი მოქმედება უნდა გასცდეს ბოდა ქველმოქმედების ვიწრო ფარგალს და მეტი ფართო მუშაობა უნდა დაეწყო. მაგალითად, მხოლოდ საზ—ის თავგამოდებით შრომის შედეგი იყო, რომ ჩვენს მთას (თუშ—ფშავ—ხევსურებს) ასცდა სასტიკი ეგ-[illegible]უცია და დასჯა ჯარის კაცების არ მიცე[illegible]კამო. ეს საქმე დაბოლავდა ჩვენდა საკვე-[illegible]ეთ და ჯარის კაცი (სათადარიგონი) არამც თუ განთავისუფლებულ იქნა ძველი მთავრობის მიერ სამხედრო ბეგრისაგან, არამედ საზოგადოებას ეხსნებოდა დიდი კრედიტი მთაში საქსოვი მანქანების დასადგმელათ და საქსოვ საინსტრუქციო საქმიანობის მოსაწყობათ ჯარის საჭიროებისათვის.

სამუსულმანო საქართველოს ომით დარბევამ რუსულ ოსმალურ ჯარის შესვლა-გამოსვლამ დიდი შრომა და მოვალეობა დააკისრა საზოგადოებას. ფიზიკურ განადგურებას სამუსულმანო საქართველო ამ საზოგადოების მეოხებით გადარჩა. დიდი ნივთიერი, კულტურული, მედიკო-სანიტარული, იურიდიული და ზნეობრივი დახმარება აღმოუჩინა საქველმოქმედო საზოგადოებამ მაჰმადიან მოძმეთ. და ამით საზოგადოებამ გამოიწვია მთელი ერის თანაგრძნობა და ამგვარ მოქმედებით ქართველი ხალხი აღიჭურვა გულწრფელი ძმური გრძნობით მუსულმან ძმათადმი და გაიბა ურღვევი ძაფი ერთობისა მათ შორის.

იურიდიული დაცვა ძველი რუსეთის მთავრობის მიერ შექმნილ აჭარის დალატში სადაც თავი მოიკრიბა ჩვენი საზოგადოების საუკეთესო იურიდიულმა ძალამ დიდი ხიფათი და უბედურება ააცდინა მთელ ქართველ ერს. მაშინდელმა საზოგადოების კულტურულმა მუშაობამ სკოლებისამ, სამეურნეო ცოდნისა და სახელოსნოების გავრცელებამ სამუსულმანო საქართველოში, საექიმო დახმარება და სხვა ამგვარმა მოღვაწეობამ შექმნა ის კადრი მუსულმანი ქართველობისა, რომელიც ერთ ერთი ძალაა დღევანდელ სამუსულმანო კომიტეტის პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ამ კომიტეტის მოხსენებით უძთავრესათ ეს ელემენტია ერთგული საერთო სამშობლოსი.

ამ საზოგადოებამ იკისრა ოსმალეთში გადასახლებულ აჭარელ და სხვა ქართველ მუსულმანთა უკან დაბრუნება და დახმარება. როდესაც მათ ამის ნება მიეცათ რუსეთის ცენტრალურ მთავრობისაგან. რიცხვი ამ საზოგადოების მიერ დაბინავებულთა უდრის 15000 კაცზე მეტს. აღსანიშნავია ეს საქმიანობა იმიტაც, რომ მთელი მოქმედება მათ დააკისრეს მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებებსაც და სხვა.

ამგვარივე მუშაობით საზოგადოება შევიდა არტაანში და აგრეთვე სხვა განაპირა სამუსულმანო პროვინციებში.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქველმოქმედო საზოგადოებას ახალი დიდი საქმიანობა დააწვა. პირველ დღეებშივე დაგვჭირდა მოვლა დარბეულ გურიის და სომხეთ ჯავახეთის ლტოლვილებისა. საქართველოს მიერ გადატანილმა ომებმა გაამრავლეს რიცხვი ხალხისა, რომელსაც ზრუნვა და პატრონობა სჭირდებოდა. გართულებული ცხოვრება, უმუშევრობა ყოველ დღე ახალ-ახალ უმწეოთა კადრს იძლეოდა. დღესაც, ახარქალაქმა მოძრაობამ დასძრა სოფლებიდან აყრებული ხალხი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით საზოგადოება პატრონობდა და დღესაც პატრონობს მათ და ამით საქველმოქმედო საზოგადოებამ უპატრონა ლტოლვილთა შვილებს და დღესაც თავის თავშესაფარ სახელოსნოებში ზრდის მათ ისეთი პრაქტიკულ ცოდნათა მიცემით, რომ იმედი გვაქვს სულ ახლო მომავალში მომზადებულ ხელოსნებათ გამოვლენ ცხოვრებაში და შესძლებენ ოჯახის რჩენასაც და დაბა სოფლებში თავის სასარგებლო ხელოსნობის გავრცელებას. ამის მაგალითები შემდეგი არის: გარდა საერთო სასწავლო საგნებისა ამ თავშესაფარ სახელოსნოებში ბავშვები სწავლობენ ჭრა-კერვას, მალეულობის, აბრეშუმეულობის, ხაიულობის და სხ. საქმეს აღზრდის პრინციპი დამყარებულია თვით მოქმედებაზე მოსამსახურეს მოკლებული ბავშვი უვლის თავის თავს ყოველის მხრივ. არსებობს აგრეთვე სპეციალური ქარხანა ქაშანური ჭურჭლებისა, სადაც ათასობით სხვა და სხვა გვარი ჭურჭლები მზადდება. და ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში მოეწყობა ისეთი ქარხანა სახელოსნო, რომლის შემწეობით შეგვეძლება ჩვენი ჯარისათვის იაფ ფასებში ტანსაცმლისათვის საჭირო მასალა დავამზადოთ და მასთანავე ბევრს უმუშევართაც საქმე გაუჩინოთ.

თანხა, რომლითაც სარგებლობდა საზოგადოება, დიდი იყო და მისი წყაროები დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე შემდეგი: საწევრო ფული, სხვა და სხვა პირთა და საზოგადოებათა შემოწირულებანი, გამართულ საზოგადოების ლატარიის და სხვა ამგვარი გასართობებიდან შემოსავალი, თანხები მიღებული ტატიანის კომიტეტიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ საზოგადოებიდან, ბაქოს ქართველ დამხმარე კომიტეტიდან, ყოფილ მეფის მოადგილის კანცელარიიდან, ომისგან დაზარალებულთა დამხმარე კავკასიის კომიტეტიდან, პეტროგრადის ქართველთაგან დაარსებულ დაჭრილ მეომართა დამხმარე კომიტეტისაგან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ გამსესხებელ კომიტეტიდგან, თფილისის ქალაქის გამგეობისაგან, კავკასიის ფრონტის გადმოხვეწილთა მომწყობ მთავარ რწმუნებულისაგან, ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობის კავკასიის კომიტეტიდგან, კავკასიის ფრონტის ლტოლვილთა მომწყობ საბჭოდან. მაისის შემდეგ თანხებს საზოგადოება იღებს მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ლტოლვილთა ცენტრალურ დამხმარე კომიტეტიდან.

დღეს, როგორც მოგეხსენებათ, ყოველი ზემოდ აღნიშნული თანხები ამოიწურა და საზოგადოებას აღარ მოეპოვება არავითარი სახსარი გაუძღვეს თავის დიდ საქმიანობას. საქმე კი დღესაც აუარებელია. საკმაოა გავიხსენოთ მარტო ის ხარჯი, რომელიც ესაჭიროება თავშესაფარ-სახელოსნოებს, სადაც მოთავსებულია 150-მდე ობოლი და უღარიბესი ბავშვი. აოხრებულ მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში დაბრუნებული ლტოლვილნი კვლავ მოვლა-პატრონობას საჭიროებენ. თფილისში ანარქიული მოძრაობის და აუტანელ სიძვირის გამო თავმოყრილ ოჯახების ბავშვებს და მანდილოსნებსაც ესაჭიროებათ დიდი დახმარება ახალი სახელოსნოების გამართვით. დღეს კი არსებული თავშესაფარ-სახელოსნოებიც კი თფილისში და ახალციხეში სრულიად უსახსროთ არიან".

წერილი ჯავახეთიდან

ჯავახელი ქართველები თანაუგრძნობენ თავიანთ მოძმე გორელებს იმ უბედურებაში, რომელიც დაატყდა მათ 20 თებერვალს. ჯავახელებს არ დავიწყებიათ 1918 წელი, როცა ისინი თავზარდაცემულნი გაურბოდნენ მტერს თითონაც არ იცოდნენ საით, მაშინ გორელები გაშლილ ხელებით მიეგებნენ და გულში ჩაიკრეს იგინი. ჯავახელებს არ დავიწყებიათ ეს სიკეთე.

ყველა მზად არის თავისი ნათხოვარი ლუკმა პური გაუყოს თავის მხსნელ გორელებს.

ქალაქ ახალქალაქში და მაზრაში შესდგა დამხმარე კომიტეტები. სამაზრო ცენტრალურმა კომიტეტმა 7 მარტს გამართა სალამო მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. წმიდა შემოსავალი 10.000 მანეთს აღემატება. კომიტეტები მალე მაზრაშიაც შეუდგებიან შემოწირულების შეკრებას.

ეს ყველამ იცის, რომ ჯავახი თავის გულკეთილობაში და სიუხვეში არავის არ ჩამორჩება, მაგრამ რაქმნას, რომ თითონაც დღეს უარეს გასაჭირშია; კარი-კარს დადის და მოწყალებას თხოულობს.

რასაკვირველია. შემოწირულება მცირე იქნება ლტოლვილ ჯავახელებისა და ნუ დაემდურებით.

არ დაივიწყოთ უბედური ჯავახელებიც, მიეცით მათ თესლი, დაათესინეთ ყანები, რომ მომავალში არ გახდნენ მთავრობის ბარგად. გააძლიერეთ იგინი, რომ სამშობლოს დაეხმარნენ.

ჯავახელების თესლის შესაძენად მეგონი მთავრობას უკვე სათანადო თანხა აქვს გადადებული და თუ ეს მართალია, საჭიროა დააჩქარონ მალე მოაწოდონ, რომ თავის დროზე დაითესოს.

წელს ჯავახეთში დიდი თოვლი არის და ეს დიდი ზამთარი მოასწავებს დიდ მოსავალს ჰინახულისას.

ჯავახელი გლეხები გულხელდაკრეფილი და თვალცრემლიანი მთავრობას იმედით გამოჰყურებენ.

შეიბრალეთ, არ გაუცრუოთ მიწის მუშას იმედები.

ს. ნადირაძე.

ახალქალაქის ადმინისტრაციაში

ახალქალაქიდან დეპუტატ გ. ვეშაპელის სახელზე შემდეგი ტელეგრამა მოვიდა (სხდო მთავრობის თავჯდომარეს და შინაგან საქმეთა მინისტრს):

„მეოთხე თვეა უჯამაგიროთ ვმსახურობთ ახალქალაქის ადმინისტრაციის მოსამსახურენი ცოლშვილით დიდ გაჭირვებას განვიცდით დარბეულ მაზრაში გთხოვთ აღმოგვიჩინოთ დახმარება გვეხოცება შიმშილით გადაგვარჩინოთ დაუსრულებელ ტანჯვისგან და დაგვიხსნათ [illegible] დამატებითი კრედიტი".

მოსამსახურეთა მონდობილობით

არტემ მელიქაძე.

სათანადო ზომები მიღებულია.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში.

რა გაჰკეთა დამფუძნებელი კრების მცირე კომისიის რევიზიამ? არაფერი, აგერ თითქმის წელიწადი გადის და ჯერ არ არის გამოქვეყნებული რევიზიის შედეგი; ალბათ ეს რევიზია ფორმალურათ არის, გამოსაჩხრეკი და გამოსაქვეყნებელი ბევრია, მაგრამ რომ იტყვიან „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო", საქმე ისე უნდა იყოს.

უწესოების და თვითნებობის ფაქტები ბევრია, ყველა დამფუძნებელი კრების წევრს ნება აქვს მოვიდეს კანცელარიაში და გაჩხრიკოს საქმეები და, გასაკვირია, რათ არ შვრებიან; დამფუძნებელ კრებაში რაც ითქვა, ის მეათედს არ შეადგენს იმისას, რაც აქ უწესოება არის.

კულტურული მამულები იღუპება, ოხრდება, საქონელი და იარაღი იფლანგება.

1600-დეს. მეტი ჩამონაჭერი ვენახის და ხეხილის ბაღები გაფუჭდა მოუვლელობით და უპატრონობით. მარანი და მისი მოწყობილობა ბევრგან გაყიდა ერობამ თავის სასარგებლოთ (კახეთში ხერხოვისეული, შალიკაშვილისეული და სხვა).

ფონდის მამულები გავლენიან სოციალ-დემოკრატებმა მიითვისეს, ზოგი წისქვილს აკეთებს შიგ და ზოგი ვენახს.

თანამდებობის ადგილებს აძლევენ თავიანთ ნათესავებს, პარტიის კაცებს და სრულებით არ ხელმძღვანელობენ საქმის ვითარებით.

აბასტუმნის მოურავი, სკრის, ბორჯომის, ყარაიაზის, წინანდლის და სხვა.

თანამდებობა თუ არ ყოფნის და ადგილები დაკავებულია, რომ თავიანთ ნათესავს და ნაცნობს მისცეს ადგილი ხელათ ნიშნავენ უფროს რწმუნებულათ, საგანგებო რწმუნებულათ, სამინისტროს წარმომადგენელათ და სხვა. მაგალითად გიაურ-არხის მამულში (ბორჩ. მაზრა) გარდა მოურავისა არიან დანიშნული მინისტრის რწმუნებული რამიშვილი და საგანგებო რწმუნებული ორმოცაძე; ესენი ერთმანეთს ეცინკლავებიან და საქმე კი ფუჭდება და მამული ოხრდება.

თავის კაცებისთვის არსებული შტატით არ კმაყოფილდებიან და აძლევენ განსხვავებით უფლებებს და ჯამაგირს.

წინანდლის მამულში იგზავნება სარევიზიოთ სექციის გამგე რამიშვილი სხვა წევრებთან ერთად, შემდეგ ამისა საქართველოს რესპუბლიკაში (№ 46—19 წ.) ვკითხულობთ: „მინისტრმა ხომერიკმა რა მოისმინა რევიზიის მოხსენება ბრძანა: „წესიერების აღსადგენათ საჭიროა ეხლავე დაინიშნოს მოურავათ მტკიცე ხასიათის პირი, აღჭურვილი საადმინისტრაციო ნიჭით და. სხვა", ამასთან გამოდის მინისტრის ბრძანება, რომ წინანდალში ინიშნება მოურავათ ერ. რამიშვილი განსაკუთრებულის უფლებით.

მართლაც განსაკუთრებული მისი უფლებები გამოიხატება შემდეგში: 1) ჯამაგირი მეტი აქვს სხვა მოურავებზე 2) გადაბარგებისთვის აძლევენ 700 მანეთს, ამას იწუნებს და მინისტრი უმატებს და აძლევს 1200 მან. 3) სტუმრის მისაღებათ უმატებენ ფულებს, მაგრამ ამის მიუხედავათ, როცა სტუმარი მიდის, ანგარიშს ურდგენს სამინისტროს და ეს იხდის (მაგალითად იხ. 13 აგვ. 19 წ. № 4796 მოწერილობა გარეშე საქმეთა სამინისტროში ინგლისელების მიღების შესახებ), 4) ცალკე მზარეულს უნიშნენ სახელმწიფო ხარჯზე და სხვა.

რომ სამინისტრომ შეინარჩუნოს გამოცდილი სპეციალისტები და ადერბეიჯანში არ გადვიდნენ სამსახურში, დაარსეს ცალკე საპირადო თანხა თვიურ დასამატი ჯილდოს მისაცემათ.

მინისტრმა და მისმა ამხანაგმა ეს ფულები დაურიგეს თავის რჩეულთ და ნამდვილი სპეციალისტები, როგორც სწავლით, ისე თანამდებობრივ მთლათ გამოტოვეს ან სულ ცოტა მისცეს 200 მან, სხვებს კი 1000 მან. და მეტიც.

სპარსეთში გაგზავნეს რამოდენიმე მილიონის ღვინოები „კავკაზ და მერკურიის" მინდობილობით, ღვინოები არ გაიყიდა და ბევრი იზარალეს. ამ საქმეში ცალკე საგანგებო რწმუნებული ყუბლაშვილი შაქროში რო სასტუმროში ბოზებში და ლულუქაბაბი ჭამა, იმის ანგარიშსაც ურდგენს სამინისტროს.

ბათუმში მინისტრმა [illegible] ღვინის სარდაფის განყოფილებას და აძლევს ვიღაც [illegible] ფერაძეს სარდაფის გამგეობას, ფერაძე ფულებს ფლანგავს და ხაზინა მილიონზე მეტს ზარალობს.

აბანოებს აძლევენ უვაჭრობოთ...

მამულებიდან მაღალ თანამდებობის პირებს მოსდით ყოველივე სანოვაგე, ყველი, ერბო, პური, თაფლი, ხილი და სხვა, რასაკვირველია უფასოთ; კოჯორის საზაფხულო სახლების ქირაც არ გადაუხდიათ. ქეიფობენ ორიანტში, სახელმწიფო სარდაფში და ფულებს სარდაფიდან აძლევენ სახელმწიფო ხარჯზე. (ორიანტის ანგარიშები 6/x № 11811 2352 მანეთს და 25/I 1020 წ. на устройство завтрака съдѣятелями аграрныхъ реформъ 13.556 руб.

ჰკვიან და გამოცდილ მოხელეებს არ აყენებენ, სიმართლის მთქმელს ატუსაღებენ, როგორც ნიკოლოზის დროს.

გამოცდილი მოხელეები ფირალოვი, ს. მაჩაბელი, ზავტკრეგერი, მამრაძე და სხვა ბევრი წავიდნენ. სახელმწიფო მამულთა სექციის გამგეს სანაძეს ატუსაღებენ სიმართლის მოხსენებისთვის, სასოფლო სამეურნეო და სახელმწიფო მამულთა განყოფილების გამგე გედევანიშვილს აგდებენ და სხვა.

სხვა სამინისტროში საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზე, ქართულზე, აქ კი ისევ რუსულათ. მთელი ჯგუფი მოხელეებისა თარგმნიანიან რუსულიდან ქართულათ და ქართულიდან რუსულათ, მეტს არაფერს არ აკეთებენ და საქმე ამით ძრიელ ფერხდება.

მამულების ხარჯთაღრიცხვა სინამდვილეს მოკლებულია.

ყოფილი საუფლისწულო მამულები ზარალს იძლევიან, შემოსავალის ციფრები გაბერილია, ნამდვილათ მაგდენი შემოსავალი არ არის, ხარჯები შემოსავალზე უფრო მეტია.

X.

სპარსეთის ქართველები

ქ. თეირანიდან გვწერენ, რომ მთელ სპარსეთში ქართველების მდგომარეობა უკანასკნელ დროს უაღრესად აუტანელი შეიქმნა; ქართველებს არსად არა ჰყავთ თავის უფლებების დამცველი; მთავრობა (განსაკუთრებით ადმინისტრაცია) უმართებულოდ ავიწროვებს ქართველობას, სპარსელები ქართველებს რუსების ქვეშევრდომებად სთვლიან, ბევრმა ქართველმა დევნა შევიწროებისგან თავდასახწევად სპარსეთის ქვეშევრდომობაც კი მიიღო, საერთო, ცნობების მიხედვით ქართველობის რიცხვი მთელ სპარსეთში 100,000 მდე ადის.

სადგურ მატთოთუბანიდან.

(წერილი რედ. მიმართ)

ვისაც კი უმსახურნია ამ სადგურში, ის ნათლად დაინახავდა აქაური უფროსის ქცევა-ყოფას. ძნელი წარმოსადგენია ყველაფერი ის რასაც ის სჩადის, მისთვის არ არსებობს კანონი გარდა თავისი გამოცემულ დეკრეტებისა. პირველი დეკრეტის ძალით, რომელიც მან ამ რამდენიმე თვის წინათ გამოსცა, ყველა დაბალი მოსამსახურენი ვალდებულნი არიან თავისუფალ დროს თვეში ოროლი დღე უმუშავონ თავის საკუთარ მამულში ქუთაისში, რაც უკვე ძალაში არის შესული დღიდან გამოცხადებისა და სრულდება თავის დროზე უცვლელად. მეორე დეკრეტი შეეხება სხვა და სხვა წვრიმალ შინაურ საქმეებს, მაგალითად წისქვილზე ძალდატანებით დაქფვა, მურიდან სიმინდის მოტანა და ვინ მოგთვლის კიდე რამდენი.

მესამე დეკრეტის ძალით მეისრეებს ყოვლად უმიზეზოთ ერთმევათ სადგომი ბინა და ისინი რჩებიან ხვთის ანაბარა მაშინ, როდესაც პლანის მიხედვით ეკუთვნით მათ. ასეთ ცეცხლში ყავს ამ ყოვლად შეუბრალებელ და ქვის გულა ადამიანს მთელი დაბალი მოსამსახურენი და საცოდავებს ხმის ამოღებისა ეშინიანთ რადგან ყველანი ადგილობრივი მცხოვრებია და ეშინიათ არსად გადაგვიყვანონო რითაც ზ. ნაჩალნიკი ყოველ დღე აშინებს.

ძველი.

ტფილისი. სტამბა „სახალხო საქმე" კალოუბნის ქ. № 14